

საქართველოს პარლამენტის

დადგენილები

„საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაობაზე
საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 7 ივნისის №3259
დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 7 ივნისის №3259 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ელექტროენერჯის მყიდველს უფლება აქვს ელექტროენერჯია შეისყიდოს ელექტროენერჯის ნებისმიერი გამყიდველისგან, თუ მისი წლიური მოხმარება შეადგენს:

- ა) 2006-2009 წწ. – არანაკლებ 30 მლნ კვტ.სთ;
- ბ) 2010-2012 წწ. – არანაკლებ 7 მლნ კვტ.სთ;
- გ) 2013-2015 წწ. – არანაკლებ 3 მლნ კვტ.სთ;
- დ) 2015-2017 წწ. – არანაკლებ 1 მლნ კვტ.სთ;
- ე) 2017წ. – 1 კვტ.სთ“

2. მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ტარიფი უნდა იცავდეს მომხმარებელს მონოპოლიური ფასებისაგან და ამავედროულად ენერგოსისტემას უნდა აძლევდეს გრძელვადიანი, მდგრადი ფინანსური და ტექნიკური განვითარების საშუალებას. ამ მიზნების მისაღწევად სატარიფო მეთოდოლოგია სხვადასხვა ტიპის მომხმარებლისთვის შეიძლება ითვალისწინებდეს შემდეგი სახის ტარიფებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ცალ-ცალკე ან მათი ნებისმიერი ერთობლიობით:

- ა) სეზონური ტარიფები;
- ბ) პიკური დატვირთვის (სადღეღამისო) ტარიფები;
- გ) ბიჯური (მოხმარების მოცულობაზე დაფუძნებული) ტარიფები;
- დ) გრძელვადიანი, წინასწარ დაფიქსირებული (მათ შორის ზღვრული) ტარიფები;
- ე) ზღვრული ტარიფები.“

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე